



აღმოსავლეთის პარტნიორობის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში

ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების კონტაქტში

შინაარსი

შეხვედრები და მოვლენები

გვ. 1

ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების კონტაქტში

სტატიები

გვ. 2

დიმიტრი ჯაფარიძე.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკა როგორც საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი - საერთაშორისო გამოცდილება

გვ. 5

ოლეგ შატბერაშვილი.

რეკომენდაციები საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის საინოვაციო პოლიტიკის თაობაზე

გვ. 9

**პაატა ბელთაძე.
ელზა ჯგერენაია.**

შრომის კანონმდებლობა და თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან

25 ივლისს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – "აღმოსავლეთის პარტნიორობის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში" – ფარგლებში საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში გაიმართა სემინარი თემაზე ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება აღმოსავლეთის პარტნიორობის განვითარების კონტაქტში, რომელიც მიზნად ისახავდა ამ სფეროში საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ამაღლებას.

სემინარზე წარმოდგენილი იყო ორი მოხსენება: ბ-ნმა ოლეგ შატბერაშვილმა, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის, გააკეთა მოხსენება თემაზე ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკა და მისი საქართველოში გამოყენების პერსპექტივები. ბ-ნმა კახა გოგოლაშვილმა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, ისაუბრა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის არსისა და ძირითადი კომპონენტების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდა ორმოცდაათამდე დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციის და სამთავრობო სტრუქტურების, მათ შორის, მრავალი კვლევითი ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ფრიდრიხ ებერტის საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომელმა ქ-ნა ხათუნა ნაყურმა, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მოკლედ მოახსენა ფონდის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

ოლეგ შატბერაშვილმა ისაუბრა საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის განვითარების მიმართულებით მის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე, რომლის უშუალო მიზნებიც მოიცავდა ევროკავშირის საინოვაციო განვითარების უახლესი ტენდენციების დადგენას, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების საინოვაციო სისტემების ზოგიერთი მაჩვენებლის შედარებით ანალიზს, საინოვაციო პროცესის მონაწილეებისა და საინოვაციო პოლიტიკის საკითხებში გათვითცნობიერებას, საინოვაციო პოლიტიკის გაძლიერების თვალსაზრისით აღმოსავლეთის პარტნიორობის არსებული მექანიზმების შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას საქართველოს მთავრობისა და საზოგადოებისთვის.

კახა გოგოლაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას მოახსენა ევროკავშირთან მიმდინარე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებების ძირითადი ასპექტების შესახებ, ყურადღება გაამახვილა შეთანხმების სარგებლიანობაზე, კერძოდ არასატარიფო ბარიერების გაუქმების, ჩვენი საქონლისა და მომსახურების ევროკავშირის ბაზრებზე დაშვების პერსპექტივის კონტაქტში. მის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციაში გაშუქდა მომავალი შეთანხმების დებულებებისა და მათ განსახორციელებლად დაგეგმილი მარეგულირებელი და საკანონმდებლო რეფორმების არსი.

პრეზენტაციებმა აუდიტორიის მაღალი ინტერესი დაიმსახურა, ხოლო შეხვედრა ინტერაქტიული ფორმით წარიმართა.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკა, როგორც საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი – საერთაშორისო გამოცდილება

დიმიტრი ჯაფარიძე

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ხელშეწყობის სტრატეგია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ფაქტორია. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის თემას მრავალი პრიორიტეტული პოლიტიკური დოკუმენტი მიეძღვნა. ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნებსა და იაპონიაში მცირე ბიზნესის კუთხით წარმოებული პოლიტიკის მიმოხილვას. აღნიშნულ ქვეყნებს მრავალი განმასხვავებელი ელემენტი გააჩნიათ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკაში, თუმცა ყველა მათგანი ეფუძნება ძირითად მოდელს, რომელიც ერთგვაროვანი შინაარსის ღონისძიებას მოიცავს საფინანსო, საგადასახადო, ადამიანური რესურსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის სფეროებში.

დიმიტრი ჯაფარიძე – ბიზნესის კვლევის ცენტრის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (გეოგრაფიის ფაკულტეტი – 1983 წ., იურიდიული ფაკულტეტი – 1988 წ.) რ. კენედის სახ. კოლეჯის დოქტორანტურაში, შვეიცარიაში, შეისწავლა ბიზნესადმინისტრირება (1999-2003წწ.).



2003-2008 წწ-ში დიმიტრი ჯაფარიძე იყო საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, 2005-2007 წწ. – გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მრეწველობის, ვაჭრობისა და მენარმეობის ხელშეწყობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (გაერო, ევროპის ეკონომიკური კომისია, უენევა), 2008-2009 წწ. – ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 2009-2010 წწ. – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, 2010 წლიდან – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე. 2011-2012 წწ. – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) ვიცეპრეზიდენტი.

ლი „მცირე ბიზნესის დასაქმების აქტი“. მიმდინარე ეტაპზე აშშ-ს ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო საწარმოების (მსს-ების) გაჯანსაღებას, რაც პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტულ საკითხებს განეკუთვნება¹:

- 2010 წლის „მცირე ბიზნესის დასაქმების აქტის“ მეშვეობით მენარმეთა მხრიდან კაპიტალდაბანდებაების მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად უახლოეს წლებში უნდა გაიცეს 30 მლრდ. აშშ დოლარის ჯამური ოდენობის პირდაპირი შეღავათიანი სესხები;
- განეული იქნება ფედერალური საფინანსო დახმარებები ინსტიტუციონალური სისტემის გასაძლიერებლად. კერძოდ, იგულისხმება მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების ფუნქციონირებისა და საექსპორტო ოპერაციების ხელშეწყობა, საგადასახადო სტიმულების დაწესება, ა.შ;
- შეიქმნა სპეციალური პროგრამა სტარტაფ ამერიკა (Start-up America), რომლის მიზანსაც
- წარმოადგენს მზარდ საწარმოთა განვითარების დაჩქარება კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, ადმინისტრაციული ბარიერების დაძლევისა და ე.წ. „მენტორული სქემების“ პრაქტიკაში დანერგვის გზით;
- ეროვნული საექსპორტო ინიციატივების განხორციელება, რომლის მიზანია აშშ ექსპორტის მოცულობის გაორმაგება მომავალი 5 წლის განმავლობაში.

აღნიშნულ პროგრამაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა იმ მსს-ის ხელშეწყობას, რომელთაც დღემდე საექსპორტო ოპერაციები არ განუხორციელებიათ². მიმდინარე პერიოდში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა როგორც კონცეფციის, აგრეთვე ეფექტური აღსრულების დონეზე განერილია სტრატეგიული ხასიათის დოკუმენტში. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი მომავალი წლების განმავლობაში აშშ-ში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სფეროში მისაღწევი შედეგები³:

- მსს-ის ხელშეწყობის უზრუნველყოფა 2011-2014 წლებში 74 მლრდ. აშშ დოლარის მოცულობის სასესხო რესურსის გამოყოფით;
- ფედერალური კონტრაქტების 23 %-ის სავალდებულო გაფორმება მსს-თან;
- 2011-2014 წლებში 37 000 ახალი მსს-ის დაფუძნება;
- 2011-2014 წლებში მსს-ის რეგულირების ტვირთის შემსუბუქებით 22 მლრდ. აშშ დოლარის დაზოგვა.

1953 წლიდან დღემდე დაახლოებით 20 მილიონმა მცირე საწარმომ ისარგებლა მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის პირდაპირი თუ ირიბი დახმარებით. სააგენტოს საკრედიტო პორტფელი მიმდინარე ეტაპზე მოიცავს დაახლოებით 219 000 ხელშეკრულებ-

1 The 2010 State of the Union, www.huffingtonpost.com, 2011.

2 Are EU SMEs recovering from the crisis? Annual Report on EU Small and Medium sized Enterprises 2010/2011, Rotterdam, Cambridge, 2011.
3 Are EU SMEs recovering from the crisis? Annual Report on EU Small and Medium sized Enterprises 2010/2011, Rotterdam, Cambridge, 2011.

ბას, ხოლო გაცემული თანხის ჯამური მაჩვენებელი 45 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს. ამგვარად, დღეისათვის მცირე ბიზნესის სააგენტო აშშ-ს მთავრობის ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

იაპონიაში მსს-ების ხელშეწყობის პოლიტიკა ხორციელდება მრავალი ორგანიზაციის თანამშრომლობის საფუძველზე. მცირე და საშუალო საწარმების სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება მსს-ს ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს რეგიონულ ოფისებთან, ადგილობრივ პრეფექტურებთან, მსს-ს ხელშეწყობის რეგიონულ ცენტრებთან და სავაჭრო და სამრეწველო პალატებთან. 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მთავრობამ 191,1 მლრდ. იენი გამოჰყო მსს-ს ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად. შესაბამისად, საბიუჯეტო პრიორიტეტად დაფიქსირდა მსს-ის ფინანსირებისა და კვლევებზე და განვითარებაზე გამოყოფილი რესურსები. სახელმწიფო საფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით იაპონური მსს-ბი იღებენ მთლიანი სასესხო პორტფელის დაახლოებით 10%-ს. თუ აღნიშნულს დავუმატებთ სახელმწიფოს მიერ გაცემულ საკრედიტო გარანტიებს, მივიღებთ მსს-ზე გაცემული ჯამური საკრედიტო პორტფელის 23%-იან მაჩვენებელს, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს საკუთარი რესურსებით. იაპონიის მთავრობა სხვა სახის ღონისძიებებსაც გამოიყენებს მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად, კერძოდ:

- საგადასახადო გამონაკლისებისა და სტიმულირების ღონისძიებები;
- მცირე საწარმოთა ხელშეწყობის ცენტრები დახმარებას უწევენ მსს-ს მათი მენეჯმენტის კომპეტენციების ასამაღლებლად;
- კვლევებისა და განვითარების კუთხით მსს-ის შესაძლებლობების გაუმჯობესება, ა.შ.

2000 წელს ბოლონამ (იტალია) უმასპინძლა მსოფლიოს 50 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნებოდა მსს-ის საქმიანობის ხელშეწყობა. აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა დოკუმენტი სახელწოდებით „მცირე და საშუალო საწარმოთა პოლიტიკის ბოლონიის ქარტია“. ქარტია ითვალისწინებს მსს-ის სპეციალური ხელშეწყობის პოლიტიკის გატარებას, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება მსხვილი საწარმოთა მიმართებით რეალიზებული პოლიტიკისაგან. ქარტიამ განისაზღვრა მსს-ების ხელშეწყობის კონკრეტული მიმართულებები:

- მსს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- საკრედიტო რესურსებისადმი წვდომის გაუმჯობესება;
- სატრენინგო კომპონენტის განვითარება მსს

მენეჯერების კვალიფიკაციის გაუმჯობესების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;

- საგადასახადო შეღავათების დაწესება;
- გაკოტრებისა და კონკურენციის სფეროში მსს-ებისათვის წესების გამარტივება, ა.შ.

მსს-ის საჭიროებები ასევე სრულფასოვნად აისახა ლისაბონის ზრდისა და დასაქმების სტრატეგიაში⁴. დღეისათვის მსს-ის ფაქტორი ევროკავშირის პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია და წვერი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების 2000 წლის გადაწყვეტილებების გათვალისწინებით მაქსიმალური ძალისხმევა ვლინდება რათა ევროკავშირი ჩამოყალიბდეს გლობალური მასშტაბით მსს-ის განვითარების საუკეთესო სივრცედ⁵. ზოგადი პროგრესის მიუხედავად, ევროპული მსს-ბი ჯერ კიდევ დაბალი მწარმოებლობით და განვითარების ნელი ტემპებით ხასიათდებიან აშშ-ში მოქმედ ანალოგიური ზომის საწარმოებთან შედარებით. აშშ-ში განვითარებადი მცირე და საშუალო საწარმოები ფუნქციონირების მე-7 წელს დასაქმების ზრდის 60%-იან მაჩვენებელს აღწევენ, მაშინ როდესაც ანალოგიური საწარმოები ევროპაში მხოლოდ 10-20%-იან ზღვარს აფიქსირებენ. შესაბამისად, ევროკავშირში მსს-ის დაჩქარებული ზრდის ხელშეწყობის პოლიტიკა გულისხმობს კანონმდებლობისა და სპეციალური პროგრამების რეალიზებას:

- ევროკავშირის კანონმდებლობას: რეგულაციები, ჩარჩო დირექტივები და დირექტივები;
- ევროკავშირის მირ განსახორციელებელ დაფინანსებებს: პროგრამები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გამიზნულია მსს-ადმი;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მსს-ის ანვითარების პოლიტიკის ნახალისებას კოორდინირების ღია მეთოდებით თუ საზღვრისპირა თანამშრომლობისა და გაცვლის ხელშეწყობის ღონისძიებებით;

მსს-ის ხელშეწყობის პრიორიტეტულობის იდეა დადასტურებულ იქნა ე.წ. „მცირე ბიზნესის აქტის“ შემოღებით⁶. იგი წარმოადგენს ევროკავშირის მაღალი პოლიტიკური ამბიციის მქონე სტრატეგიული ხასიათის დოკუმენტს, რომელიც შეიცავს მცირე ბიზნესის ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელ 10 ძირითად პრინციპს:

1. ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, სადაც მენარმეები და საოჯახო ბიზნესი განვითარდება, ხოლო მენარმეობა ნახალისდება;
2. კეთილსინდისიერი მენარმის გაკოტრების შემთხ-

4 Lisbon Strategy for Growth and Jobs, 2000.
 5 A “Small Business Act” (SBA) for Europe, Brussels, 25.6.2008.
 6 “Think Small First”, A “Small Business Act” For Europe Communication From The Commission To The Council, The European Parliament, The European Economic And Social Committee And The Committee Of The Regions, Brussels, 25.6.2008, COM(2008) 394.

ვევაში ბიზნესის ხელმეორედ დაწყების შესაძლებლობის მიცემა;

3. წესების შემუშავება „ჯერ მცირეზე იფიქრე“ (Think Small First) პრინციპის საფუძველზე (უკეთ რეგულირება, რეგულაციის ზემოქმედების შეფასება, დღგ-ს რეგისტრაციის ზღვარი);
4. საჯარო ადმინისტრაციის მხრიდან მსს-ის საჭიროებებზე რეაგირების უზრუნველყოფა სამთავრობო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მხოლოდ ერთ საინფორმაციო წყაროს გამოყენებით;
5. პოლიტიკის ინსტრუმენტების მორგება მსს-ის საჭიროებებზე: მსს-ის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გაიოლება და მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო დახმარების საშუალებების უკეთ გამოყენება;
6. მსს-ის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაიოლება საკანონმდებლო და ბიზნესგარემოს განვითარება სავაჭრო ოპერაციებში დროული ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად;
7. მსს-ის დახმარება ერთიანი ბაზრის შესაძლებლობებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად (ინფორმაციის გავრცელება, არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისაგან თავდაცვის საკონსულტაციო სისტემები, ა.შ.);
8. მსს-ის ხელშეწყობა მათი უნარებისა და ინოვაციის სხვადასხვა ფორმების სრულყოფისათვის;
9. მსს-ის ხელშეწყობა რათა გარემოს დაცვის სფეროში წარმოქმნილი გამოწვევები მათი განვითარების შესაძლებლობებად იქცეს;
10. მსს-ის მხარდაჭერა და დახმარების აღმოჩენა რათა მათ სარგებელი ნახონ ბაზრების მოცულობების ზრდით (სავაჭრო ბარიერების გაუქმება, მსხვილი საწარმოების მიერ მსს-ის დახმარება მათი საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული ინტეგრირების მიზნით, ა.შ.).

მიუხედავად იმისა, რომ „მცირე ბიზნესის აქტი“ დღეისათვის არ წარმოადგეს სავალდებულო იურიდიული ძალის დოკუმენტს, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ეკონომიკურ პოლიტიკაში ძირითად აქცენტებს სწორედ აქტში წარმოდგენილ „ჯერ მცირეზე იფიქრე“-ს პრინციპზე აკეთებენ. მიმდინარე ეტაპზე წევრი ქვეყნები ათვიცნობიერებენ იმ აუცილებლობას, რომ 10 პრინციპი უახლოეს მომავალში გახდეს როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი. დღეისათვის ევროკომისია და წევრი ქვეყნები აწარმოებენ აღნიშნული პრინციპების ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების რეგულარულ მონიტორინგს.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „ევროპის სტრატეგია

2020 წლისათვის“, რომელიც დაფუძნებულია მსს-ის პოტენციალის სრული რეალიზების იდეაზე⁷. დღეისათვის ევროკავშირში 23 მლნ. საწარმო ანხორციელებს საქმიანობას, რაც საწარმოთა საერთო რაოდენობის 99%-ია. მცირე საწარმოების მიერ შექმნილია 90 მილიონი სამუშაო ადგილი, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%-ს წარმოადგენს⁸. სწორედ „მცირე ბიზნესის აქტი“ წარმოადგენს მათი სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს. აქტის მიღების შემდგომ პერიოდში, 2008 წლის ივნისიდან დღემდე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივები დაფიქსირდა მსს-ის ხელშეწყობის კუთხით:

- კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის ფარგლებში ახალი საფინანსო ინსტრუმენტებით ისარგებლა 100 000-მდე საწარმომ. მოსალოდნელია, რომ 2013 წლამდე ახალი საფინანსო ინსტრუმენტებით ისარგებლებს დამატებით 100 000 მსს;
- ელექტრონული ფაქტურების დირექტივა მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი გარემოებაა მსს-თვის, რომელიც ელექტრონულ და ქალაქის დოკუმენტებს თანაბარ სტატუსს ანიჭებს;
- დაგვიანებული ანგარიშსწორების დირექტივის მოთხოვნის საფუძველზე საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან თავიანთ მომწოდებლებთან განახორციელონ ანგარიშსწორება 30 დღის განმავლობაში, რითაც ხელს უწყობენ მსს-ის ბიზნესში საფინანსო ნაკადების გაჯანსაღებას;
- დაიხვეწა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის პროცედურები და დღეისათვის მსს-ს საშუალება აქვთ წარადგინონ ერთობლივი განაცხადები ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად;

„მცირე ბიზნესის აქტის“ დამტკიცების შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება მსს-ის ადმინისტრაციული ტვირთისაგან გასანთავისუფლებლად, კერძოდ, ახლო მომავალში დაგეგმილია საწარმოს რეგისტრაციის და ბიზნეს-საქმიანობის დასაწყებად პირობების გაუმჯობესება:

- ინერგება „მხოლოდ ერთხელ მოთხოვნის“ პრინციპი, რაც გულისხმობს საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული სტრუქტურების მხრიდან იმ ინფორმაციის, მონაცემების, დოკუმენტების თუ სერტიფიკატების მეორედ მოთხოვნის აკრძალვას, რომლებიც ერთხელ უკვე წარდგენილ იქნა ნებისმიერ სხვა საჯარო დაწესებულებაში;
- მსს-ზე კანონმდებლობის გავლენის სისტემატიური შეფასებები „მსს ტესტის“ მეშვეობით;

⁷ EUROPE 2020, A Strategy For Smart, Sustainable And Inclusive Growth, Communication From The Commission, Brussels, 3.3.2010, COM(2010) 2020.

⁸ Antonio Tajani, European Commission Vice-President, Commissioner for Industry and Entrepreneurship, 2010.

- “ჯერ მცირეზე იფიქრე” პრინციპის მკაცრი დაცვა რაც გულისხმობს მსს-ის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი და ადმინისტრაციული გარემოს დახვეწას;
- ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებისადმი მსს-ის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- მსს-ის და საკრედიტო დაწესებულებებს შორის დიალოგის ხელშესაწყობად „საკრედიტო ომბუდსმენის“ პრაქტიკის დამკვიდრება;
- ევროკავშირის, ეროვნული და ადგილობრივი საგრანტო რესურსების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ერთი სარკმლის პრინციპის შემოღება.

ევროკავშირის მსს ხელშეწყობის სტრატეგიის ძირითად საკითხს წარმოადგენს მათი გლობალურ ბაზრებზე ინტეგრირების თემა. ჩინეთის ბაზარზე ევროკავშირის საწარმოთა შეღწევის გასაიოლებლად 2010 წლის ნოემბერში დაარსდა „ჩინეთში ევროკავშირის მსს ცენტრი“. მსს ხელშეწყობის ცენტრების დაარსება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება და ევროკავშირის პრიორიტეტულ მიმართულებად დარჩება მომავალშიც. მსს-ის მიერ გლობალური ბაზრების წარმატებით ათვისებაში დახმარების აღმოსაჩენად ევროკომისია გეგმავს:

- ახალი წინადადებების შემუშავებას ევროპული მსს-ის გლობალურ ბაზრებზე შეღწევის გასაიოლებლად;
- გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანი კლასტერებისა და ქსელების განვითარების სტრატეგიის ამოქმედებას;
- თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ფორმატში სისტემატიური მოქმედებების განხორციელება არასატარიფო ბარიერების მოსახსნელად მსს-ის მესამე ქვეყნების ბაზრებზე შეღწევისას, ა.შ.

„მცირე ბიზნესის აქტის“ პრინციპების რეალიზების მიზნით ეროვნული თუ რეგიონალური პოლიტიკური ლიდერების და სხვა დაინტერესებული მხარეების გათვითცნობიერებისა და ჩართულობის საკითხებს ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, კერძოდ:

- მსს-ის ელჩი (SME Envoy)⁹ ნევრ ქვეყნებთან ერთად ყურადღებით დააკვირდება „მცირე ბიზნესის აქტის“ შესრულების მიმდინარეობას. გარდა ამისა, მსს ანსამბლეა უზრუნველყოფს ახალი ფორუმის ფორმირებას, რომელიც სრულ კოორდინაციაში იმოქმედებს მსს-ის წარმომადგენლებთან;

- ევროკავშირის ნევრ ქვეყნებს რეკომენდაცია მიეცემათ სრულად შეასრულონ „მცირე ბიზნესის აქტით“ განსაზღვრული პრინციპები.

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებებიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ბიზნესის სფეროში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გაანალიზებისას შერჩეულ იქნეს და რეკომენდაცია გაეწიოს საინტერესო გამოცდილებებს, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები თუ პოლიტიკური თანამეგობრობები იყენებენ მიმდინარე ეტაპზე. სწორედ ამგვარ სასარგებლო მაგალითად შეიძლება იქნეს განხილული ევროკავშირის პოლიტიკა მცირე ბიზნესთან მიმართებით. თუ გავითვალისწინებთ ქართული საზოგადოების მიერ გაცხადებულ მზადყოფნას ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით და აგრეთვე იმ ქმედებებს, რაც ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ხორციელდება ევროკავშირის საკანონმდებლო მოდელთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, ნათელი ხდება, რომ მცირე ბიზნესის პოლიტიკის ფორმირების ევროპული მოდელის პრინციპებით აღჭურვა და მისი დანერგვა საქართველოში აუცილებელ ხასიათს იძენს.

რეკომენდაციები საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის საინოვაციო პოლიტიკის თაობაზე

ოლეგ შატბერაშვილი

წინამდებარე რეკომენდაციები მსოფლიოში, ევროკავშირისა და საქართველოში მიმდინარე საინოვაციო პროცესებისა და ეროვნული საინოვაციო სისტემების შესწავლის საფუძველზეა მომზადებული. კვლევა წარმოებდა 2009 — 2012 წლებში ევროკავშირის, ფონდ ღია საზოგადოებისა და ებერტის ფონდის ხელშეწყობით. შესწავლის აუცილებლობა განაპირობა რამდენიმე გარემოებამ: საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის უქონლობამ, რაც არაერთხელ აღნიშნეს ევროკავშირის მისიებმა; კვლევითი და უმაღლესი განათლების სისტემების წარუმატებელმა რეფორმამ; კვლევითი სისტემის უაღრესმა დაკნინებამ; კერძო სექტორში კვლევის უმნიშვნელო მოცულობამ. ეს ნიშნები კითხვის ქვეშ აყენებენ საქართველოს მიერ გაცხადებულ ევროინტეგრაციას, რადგანაც ისინი მკვეთრად არ შეესაბამებიან ევროკავშირის პრაქტიკას. კითხვის ქვეშ დგება საქართველოში ეკონომიკისა და კეთილდღეობის ზრდის გრძელვადიანი პერსპექტივა.

რეკომენდაციები საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის მონახაზს იძლევიან.

მთავარი ღონისძიებაა ეროვნული საინოვაციო პოლიტიკის შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და მიღება.

მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და წარუდგი-

⁹ მცირე ბიზნესის ელჩის ფუნქციას წარმოადგენს ევროკომისიასა და მცირე ბიზნესს შორის მსს-ის ხელშეწყობის კუთხით თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ნოს პარლამენტს დოკუმენტი, რომელშიც პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები იქნება ასახული. მის საფუძველზე, შემდგომში, განხორციელდება კანონმდებლობის ცვლილება და საორგანიზაციო ღონისძიებები.

საინოვაციო პოლიტიკა უმაღლეს სახელმწიფო ამოცანად უნდა ვაღიაროთ.



ოლეგ შატბერაშვილი – ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი). დოქტორის ხარისხი დაიცვა ლაზერების ფიზიკაში პ. ლებედევის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში, ნობელის პრემიის ლაურეატის ნ. ბასოვის ხელმძღვანელობით (1973), ასოციაცია ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის თავმჯდომარე.

ოლეგ შატბერაშვილი არის 90-ზე მეტი ნაშრომის ავტორი ფიზიკაში, მეცნიერებათაშორისელობაში, ინფორმაცია და სამეცნიერო/საინოვაციო პოლიტიკაში. ბოლო წლებში მისი კვლევის სფეროა საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ეროვნული და საერთაშორისო საინოვაციო სისტემები.

ო. შატბერაშვილი არის შურონალების „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია“ (VINITI) და „ინფორმაცია და ინოვაცია“ (IC-STI) სარედაქციო კოლეგიების წევრი, მრავალი პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე, სხვადასხვა დროს იყო სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული ორგანიზაციის პრეზიდენტი და მმართველი საბჭოს წევრი, 1976-2004 წწ.ში – საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ტექინფორმის) დირექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, UNIDO, FAO, GFAR და სხვა) პროექტებში – ექსპერტი და კონსულტანტი.

სექტორში. კვლევითი სისტემა, როგორც მიუკერძოებელი არაპარტიული ინსტიტუტი უნდა იყოს

ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკის შესაბამისად, უნდა შეიქმნას საინოვაციო განვითარების ეროვნული საბჭო პრემიერ მინისტრის თავმჯდომარეობით.

ქვემოთ მოგვყავს იმ საკითხების ჩამონათვალი, მოკლე განმარტებებით, რომელსაც სტრატეგიული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს (ჩამონათვალი ამომწურავი არაა):

საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

კვლევითი სისტემის განვითარება. ეს საკითხი ბოლო წლებში საჯაროდ იხილებოდა, მაგრამ დადებითი შედეგი დისკუსიამ ვერ მოიტანა. ამის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ისაა, რომ კვლევითი სისტემა არ იხილებოდა ქვეყნის ინოვაციური განვითარების კონტექსტში, სხვა კონტექსტი კი უბრალოდ არ არსებობს.

კვლევითი და მასთან გათანაბრებული საქმიანობის თანამედროვე განსაზღვრება უნდა ჩამოყალიბდეს. უნდა დავადგინოთ მისი ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმები, აგრეთვე ძირითად მონაწილეთა უფლებები, როგორც საჯარო, ასევე კერძო

დაცული ხელისუფლების ცვლასთან დაკავშირებული რისკებისგან.

კვლევითი საქმიანობა უნდა იყოს განხილული როგორც ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებული დარგი, რომელიც, მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობისა და შინაგანი სტრუქტურის გამო, მოითხოვს სახელმწიფოსგან დაგეგმვისა და მართვის სხვა დარგებისგან განსხვავებულ მეთოდებს.

კვლევითი სისტემის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი უნდა შეწყდეს. როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში უნდა დაიგეგმოს კვლევის მოცულობისა და სხვა ინდიკატორების თანდათანობითი ზრდა (ხარჯები, როგორც მშპ %, მკვლევარების რიცხვი 1000 მოსახლეზე, ასაკობრივი განაწილება და სხვა). ამ თვალსაზრისით საინოვაციო პოლიტიკამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ხელისუფლების პასუხისმგებლობა.

კვლევის ხელშეწყობა კერძო სექტორში. იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ზომებია მიღებული და ზრდის სწორი ორიენტირებია დადგენილი, კვლევის ზრდას საჯარო სექტორში მივყავართ კვლევის ზრდასთან კერძო სექტორშიც. სათანადო კანონის მიღების საფუძველზე სანარმოებს (პირველ რიგში, მცირე და საშუალოს) კვლევითი გრანტების მიღების უფლება უნდა მივცეთ, რაც ამჟამად აკრძალულია. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ საგადასახადო და სატარიფო შეღავათები, შემოკლებული საამორტიზაციო ვადები და სხვა მსოფლიოში გამოცდილი საფინანსო ინსტრუმენტები იმ სანარმოთა მიმართ, რომლებიც კვლევით და საინოვაციო საქმიანობაში არიან ჩართული. უნდა შევთავაზოთ სანარმოებს არასაგადასახადო დახმარებაც, როგორცაა პერსონალის უფასო ან შეღავათიან ფასებში (სუბსიდირებული) გადამზადება, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მხრიდან კვლევითი დახმარება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ტექნოლოგიის გადაცემის სფეროებში კონსულტირება და სხვა. უნდა განვიხილოთ ნახალისების სისტემა ექსპერიმენტული გამოცდის (მაგალითად, სამკურნალო პრეპარატებისა და მეთოდების გამოცდა, ჯიშების გამოცდა სოფლის მეურნეობაში და სხვა) სამუშაოებისთვისა და საკონსტრუქტორო (საინჟინრო და სხვა მეცნიერებასთან გათანაბრებული) საქმიანობისთვის.

უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განათლების სისტემათა განვითარება. ინოვაცია დინამიური პროცესია, რომელიც თანამშრომელთა პროფილის მუდმივ ცვლილებას ითხოვს. ეს პროცესი მარტივდება, როდესაც: ა) ქვეყანა ხარჯავს საჯარო სახსრებს განათლებაზე და ბ) განათლების სისტემა კარგ ფუნდამენტურ ცოდნას იძლევა. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება აფინანსებს საუნივერსიტეტო კვლევას საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებაში. განათლებაზე საჯარო (საზოგადოებრივი) ხარჯების დონით (მშპ-თან მიმართებაში) საქართველო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის

უკანასკნელ ადგილზე დგას (იმ დროს, როდესაც ეს ქვეყნები თვითონაც არ გამოირჩევიან ხარჯების მაღალი დონით). ორივე სფერო — განათლების და მეცნიერების — ის სფეროებია, რომელშიც მთავრობა მოვალეა იმოქმედოს როგორც ინვესტორმა და გაზარდოს თანდათან კვლევაზე ხარჯები წარმატებული ქვეყნების დონემდე. კვლევა უნდა გახდეს უნივერსიტეტების აკრედიტაციის აუცილებელი პირობა.

უმაღლესი სკოლის სისტემაში უნდა ამოქმედდეს მსოფლიოში აპრობირებული, მაგრამ საქართველოსთვის ახალი მექანიზმები, როგორიცაა ტექნოპარკები, სპინ-ოფის (უნივერსიტეტიდან საწარმოს გამოყოფის) სქემები, ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები.

კვლევითი (სამეცნიერო) მომსახურების სისტემის განვითარება. საუბარია ისეთ სამსახურებზე, როგორიცაა ჯიშთა გამოცდის სადგურები და საკონსულტაციო სამსახურები სოფლის მეურნეობაში, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური, გეოდეზიური, მეტროლოგიური, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და სხვა. მათ უმრავლესობას რეაბილიტაცია ესაჭიროება. ზოგიერთი მათგანი შესაქმნელია, რადგანაც წინათ არ არსებობდა, მაგალითად, საკონსულტაციო სამსახურები სოფლის მეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია საკანონმდებლო, ორგანიზაციული და საფინანსო ზომების გატარება. აღნიშნული სამსახურების განვითარება შესაბამისი სამინისტროების უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა იქცეს.

საშუამავლო მომსახურების განვითარება. საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს სამსახურები რომელიც ხელს უწყობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემას — ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები. გამონაკლისია საერთაშორისო დონორული პროექტების ფარგლებში შექმნილი სამსახურები, რომლებიც უქმდებიან პროექტის დასრულების შემდეგ. მიუღებელია ამ სფეროს მინდობა დონორების კეთილი ნებისთვის. საქართველოში არ არსებობს ტექნოლოგიის დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები — მაგალითად, მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონები. ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს კანონმდებლობა და გამოიხატოს სახსრები სამოდერნო სამსახურების დასაფუძნებლად. მიზანია — მათ ბაზაზე მომავალში საშუამავლო ქსელების განვითარება.

საინოვაციო გარემოს ფორმირება.

მთავრობა საინოვაციო პროცესის კატალიზატორი და რეგულატორია. იგი ქმნის პირობებს/გარემოს (მაგალითად, საკანონმდებლოს) საინოვაციო პროცესის წასახალისებლად. საინოვაციო პოლიტიკის მეშვეობით იგი ინოვაციის ყველა არხზე ზემოქმედებს. დამატებით იმ ღონისძიებებთან, რომელიც 7.1-შია განხილული, გასატარებელია ქვემოჩამოთვ-

ლილი ღონისძიებები.

მცირე ბიზნესის განსაზღვრების დადგენის მეთოდოლოგიის შეცვლა. ინოვაციური ბიზნესის ცნების დადგენა. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტების (განსაზღვრების) მეთოდიკა რადიკალურად განსხვავდება საერთაშორისოდ აღიარებულისგან, რაც ხელისშემშლელი გარემოებაა საინოვაციო პროცესისთვის. საგადასახადო კოდექსი აწესებს მცირე შეღავათებს საწარმოებისთვის 100,000 ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვით. ეს საინოვაციო საქმიანობისთვის ძალიან დაბალი ჭერია. ინოვაციური საწარმოს ცნება არ არსებობს. კანონმდებლობა გამორიცხავს კერძო საწარმოებისთვის პირდაპირ საფინანსო დახმარებას (საინოვაციო და კვლევითი საქმიანობისთვის). საჭიროა კანონმდებლობის კორექტირება საერთაშორისო, კერძოდ კი ევროკავშირის, პრაქტიკის გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო ინოვაციის მხარდაჭერა.

საინოვაციო ღონისძიებები განსაკუთრებით რთული გასატარებელია მცირე მეურნეობებში. ამავე დროს, სიღარიბესთან ბრძოლის წარმატებისთვის, მათი გატარება მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია. საინოვაციო პოლიტიკის გატარებისთვის, გარდა კარგად ორგანიზებული საკონსულტაციო სამსახურისა, საჭიროა ფერმერთა ერთობლივი მოქმედება. დიდ მნიშვნელობას იძენენ ფერმერთა კოოპერატივები. ხელისშემშლელი გარემოება საქართველოში ფერმისა და ფერმერის საკანონმდებლო განსაზღვრებისა და კოოპერატივების შესახებ კანონის უქონლობაა. სოფლის მეურნეობაში ტექნიკური და ორგანიზაციული ინოვაციის გატარება ფერმერული მეურნეობის, როგორც სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის ცნობის, ფერმერის უფლება-მოვალეობების დადგენის გარეშე ვერ მოხერხდება. გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივები ამჟამად არსებობს. საჭიროა მათი შეჯერება საინოვაციო პოლიტიკის ამოცანების გათვალისწინებით.

არაკვლევითი ინოვაციის მხარდაჭერა.

ფართო გაგებით, ინოვაცია ახალი იდეების პრაქტიკაში განხორციელება. ასეთი განმარტების შესაბამისად, საინოვაციო პროცესებად უნდა მივიჩნიოთ ყველა სახის საქმიანობა და ყველა არხის მოქმედება, რომელსაც ინოვაციასთან მივყავართ. საქართველოში, ისევე, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ინოვაცია ძირითადად არაკვლევითი არხებით ხორციელდება (მაგალითად, ქართული კომპანიების მიერ მანქანამონწყობილობების იმპორტი, რომელშიც ტექნოლოგიაა ჩაქსოვილი ან საპატენტო ლიცენზია, რომელიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას ახლავს). ამ არხთან ახლოა თავისი შინაარსით ფრანშიზა (ფრენჩაიზინგი). საქართველოსთვის წახალისების სისტემის მეშვეობით არაკვლევითი ინოვაციის ეფექტიანი მართვა უდიდესი მნიშვნელობის საკითხია. კანონმდებლობამ ეს უნდა გაითვალისწინოს.

მიზანშეწონილი ინოვაციის მხარდაჭერა. საყოველთაო ცოდნაზე დაფუძნებულ “ტრადიციულ”

ტექნოლოგიებს შორის ბევრია ისეთი, რომელიც დღესაც შეიძლება წარმატებით იყოს გამოყენებული და მათი ადგილობრივ დონეზე გამოყენება შეგვიძლია ინოვაციად განვიხილოთ. ასეთი “რუტინული” ინოვაციები მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის. მთავრობამ, განსაკუთრებით კი ადგილობრივმა მმართველობამ, ასეთ ინოვაციებს წამახალისებელი ზომები უნდა მიაგებოს.

ამ ქვეთავში ჩამოთვლილი მიმართულებების ხელშეწყობა გულისხმობს შესაბამისი საფინანსო, საგადასახადო და არასაფინანსო წამახალისებელი მექანიზმების შექმნასა და მოქმედებას.

საჯარო ადმინისტრაცია და საინოვაციო პროცესი.

მთავრობა მოქმედებს, ერთი მხრივ, როგორც ინვესტორი, რომელიც აბანდებს ზოგადად განათლებისა და კვლევის სისტემებში და, აგრეთვე, საინოვაციო ინსტრუმენტებსა და სპეციფიურ საინოვაციო პროექტებში, ხოლო მეორე მხრივ, როგორც კატალიზატორი და რეგულატორი, რომელიც ქმნის პირობებს/გარემოს (მაგალითად, საკანონმდებლოს) საინოვაციო პროცესის მხარდასაჭერად. საინოვაციო პოლიტიკის განხორციელება ამ ფუნქციების რეალიზაციას მოითხოვს, რამაც, თავის მხრივ, ქვეყნის მართვის სფეროში სერიოზული ცვლილებები უნდა შეიტანოს.

მთავრობის ჩართულობა საინოვაციო პროცესების მართვაში და კვლევითი სისტემის ჩართულობა სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებაში.

ინოვაციაზე ორიენტირებული ქვეყნები პოლიტიკის განხორციელების მიზნით ქმნიან მაღალი დონის საინოვაციო საბჭოებს (პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით). მათი წევრებია რანდენიმე მინისტრი, კვლევითი სისტემისა (აკადემიური წრეების) და ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები. ეს პრაქტიკა საქართველოშიც უნდა დამკვიდრდეს. საბჭოს უნდა გააჩნდეს სათანადო მუშა ორგანო. სამინისტროების ცოდნაზე დაფუძნებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მათ სისტემებში კვლევითი ორგანიზაციები უნდა აღსდგეს ან დაფუძნდეს, ხოლო უშუალოდ სამინისტროს აპარატში განისაზღვროს საინოვაციო პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი ქვედანაყოფები. უკეთესი კოორდინაციისთვის კვლევითი ორგანიზაციები შეიძლება ორმაგ დაქვემდებარებაში იყვნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ან ხელისუფლების მიერ მეცნიერების განვითარებისთვის პასუხისმგებელ სხვა ორგანოსთან ერთად. სამინისტროებს უნდა გააჩნდეთ, აგრეთვე, სახსრები კვლევის დასაკვეთად.

ადგილობრივი მმართველობის ჩართულობა საინოვაციო პროცესებში. რეგიონული მმართველობები და ადგილობრივი თვითმმართველობები საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებაში სერიოზულ როლს თამაშობენ (ადგილობრივი ინოვაციური საწარმოების კლასტერების ფორმირება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის განვითარება და

სხვა). ეს როლი მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და, კარგი გაგებით, რეგიონებს შორის შეჯიბრებითობის საკითხებთან. ამ როლის შესასრულებლად რეგიონებს არსებითი ფინანსური რესურსები უნდა გააჩნდეთ. ამჟამად რეგიონული/ადგილობრივი მმართველობები ძირითადად ცენტრალური მთავრობიდან ტრანსფერებზე არიან დამოკიდებული. ეს გარემოება საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებას ხელს შეუშლის. საქართველოში უნდა გადაიხედოს კანონმდებლობა, რომელიც რეგიონული და ადგილობრივი მმართველობების უფლებებსა და მათი სახსრების წარმოქმნას განსაზღვრავს. უნდა დაფუძნდეს რეგიონული განვითარების ფონდები და ცენტრები, რომლებიც მოახდენენ სხვადასხვა წყაროდან მიღებული სახსრების აკუმულირებას საინოვაციო პროგრამების შესრულების მიზნით.

სახელმწიფო მოხელეთა ფართომასშტაბიანი გადამზადება საინოვაციო პოლიტიკის სფეროში.

საინოვაციო პოლიტიკა ქვეყნის ცხოვრების მრავალ სფეროს ეხება და, რაც მნიშვნელოვანია, პრიორიტეტებზეა დაფუძნებული. მისი განხორციელება მოითხოვს საჯარო მოხელეების მაღალ კვალიფიკაციას. ამასთან დაკავშირებით დგება მოხელეების გადამზადების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც საფინანსო სახსრებს მოითხოვს. მაგრამ შედეგი — ქვეყანაში გაცილებით უფრო მაღალი კვალიფიკაციის მოხელეების არსებობა — გაამართლებს ხარჯებს.

საინოვაციო სფეროს მართვა სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე.

პროგრამების სამართლებრივი სტატუსი. პრიორიტეტების დადგენა, განსაკუთრებით კვლევის (მეცნიერების) სფეროში, საქართველოში ცხარე დისკუსიებს იწვევს. ერთი მხრივ, ეს მართლაც რთული ამოცანაა. მეორე მხრივ, თუ მას დავიყვანთ კითხვამდე “რით დავინყო?”, იგი საგრძნობლად მარტივდება. წინა პლანზე გამოდის თვალსაჩინო, ბუნებრივი პრიორიტეტები. მათზე დაყრდნობით შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე პროგრამა, რომლითაც შეგვიძლია დავინყოთ. ყველა პროგრამას უნდა გააჩნდეს სახელმწიფო კანონის სტატუსი, რომელიც პროგრამის დასრულებამდე მოქმედებს.

პრიორიტეტების პირველი ჯგუფი — ადამიანების სიცოცხლის უზრუნველყოფა ცვალებად გარემოში. იგი მოიცავს: მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას, სასოფლო-სამეურნეო კვლევას, საკონსულტაციო სისტემის განვითარებას სოფლის მეურნეობისთვის; გარემოს კვლევის, მასზე დაკვირვებისა და გარემოსდაცვითი კონსულტირების ძლიერი სისტემების განვითარებას; სამედიცინო კვლევასა და სამედიცინო მომსახურების სისტემის სრულყოფას.

პრიორიტეტების მეორე ჯგუფი — კვლევა ადგილობრივი მინერალური და არა-საკვები სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების სფერო-

ომი.

პრიორიტეტების მესამე ჯგუფი — კვლევა ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ენერგოსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების სფეროში.

პრიორიტეტების მეოთხე ჯგუფი — კვლევა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ახალი ელექტრონული საინფორმაციო რესურსების შექმნისა და არქივების ციფრულ ფორმაში გადაყვანის სფეროში.

პრიორიტეტების მეხუთე ჯგუფი — ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში კვლევისა და საზოგადოების კვლევის განვითარება, რომელიც ხელისუფლების შტოების საინფორმაციო მხარდაჭერასა და კონსულტირებას უზრუნველყოფს ქვეყანაში ეფექტიანი მმართველობისა და ზოგადად სახელმწიფოს მშენებლობის მიზნით.

ამ პროგრამებს შეუძლიათ მრავალი ათასი მკვლევარისა და პრაქტიკოსის საქმიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე მიმართონ პროცესის დასაწყისში, ხოლო დანარჩენს ცხოვრება გვაჩვენებს. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კვლევა გულისხმობს როგორც ახალი ტექნოლოგიების შექმნას, ასევე არსებული ტექნოლოგიების ადაპტირებას. გარდა ამისა, კვლევითმა სისტემამ უნდა შეასრულოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია — ქართული საზოგადოების ინფორმირება მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შესახებ.

საინოვაციო პოლიტიკის საინფორმაციო უზრუნველყოფა

საინოვაციო პოლიტიკის განხორციელება მისი მსვლელობის მონიტორინგს მოითხოვს. იგი ევროკომისიისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებულ ინდიკატორთა სისტემას უნდა დაეყრდნოს. ამისთვის სახელმწიფო სტატისტიკის სისტემაში უნდა აღსდგეს საინოვაციო საქმიანობის აღრიცხვის ბლოკი. არ გამოირიცხება, რომ საწყის ეტაპზე საჭირო იქნება ზოგიერთი დამატებითი ინდიკატორის შემოღება, რომელთა მიმართ სისტემა უფრო მგრძობიარე იქნება, ვიდრე სტანდარტული ინდიკატორების მიმართ. საჭიროა კვლევითი სისტემის პროდუქციის აღრიცხვა და საჯარო სახსრებით განხორციელებული კვლევების შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საინოვაციო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო იქნება, აგრეთვე, მსოფლიო სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინფორმაციის ანალიზი. ამ მიზნებით შეიძლება შემუშავდეს სპეციალური საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა.

* * *

შეთავაზებული ღონისძიებების განხორციელება ეკონომიკური მოდელის არსებით ცვლი-

ლებას ნიშნავს. იგი მოითხოვს მრავალ სფეროში კანონების ცვლილებასა და ახალი, ამჟამად არარსებული, კანონების მიღებას. იგი სახელმწიფო მართვის აპარატისგან არსებულზე უფრო რთული ამოცანის შესრულებას მოითხოვს. იგი მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს მართვაში: დამტკიცებულ პრიორიტეტებზე დაფუძნებულ მართვას, ადგილობრივი მმართველობების მეტ დამოუკიდებლობას და ევროინტეგრაციის პროცესის ფართო და სიღრმისეულ აღქმას. საინოვაციო პოლიტიკის განხორციელება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცვლილებას ნიშნავს. მეორე მხრივ, ამ ცვლილებების გატარება ღირს, რამდენადაც ეს განვითარებული ქვეყნების ჯგუფთან თანმიმდევრული მიახლოების ერთადერთი გზაა. საქართველოს ტიპის ქვეყნისთვის ეს ძლიერი გამოწვევაა, თავისებური გრძელვადიანი ზემოქანა. მისი დასამისთვის პოლიტიკური ძალების თანხმობა საჭირო, უფრო მეტიც, — ეროვნული თანხმობა იმის თაობაზე, რომ ქვეყანა მის გადარჩევას შეუდგება.

შრომის კანონმდებლობა და თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან

*პაატა ბელთაძე
ელზა ჯგერენაია*

2011 წლიდან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მოსამზადებელი პროცესი დაიწყო, რაც თავის მხრივ წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან კომპონენტს და შესაბამისად, ხელს შეუწყობს ევროკავშირთან საქართველოს უფრო ღრმა ეკონომიკურ ინტეგრაციას.

მოლაპარაკების დაწყებას წინ უსწრებდა ქვეყანაში სხვადასხვა სფეროში მეტ-ნაკლებად სათანადო დონეზე განხორციელებული რეფორმები, რომელიც განსხვავებდა მიღწეული პროგრესის მაჩვენებლებით. ამ მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოხდება საქართველოში მოქმედი “ულტრალიბერალური” შრომის კანონმდებლობის დახვეწა და მისი ცალკეული მიმართულებების შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად კონვენციებთან შესაბამისობაში მოყვანა. ხშირად არასწორად არის გაგებული შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესების მოთხოვნა. კერძოდ, სამთავრობო წრეების წარმომადგენლები და ზოგიერთი ლიბერტარიანული ექსპერტი თავიანთ რიტორიკაში ატარებენ აზრს, რომ ევროკავშირი ცალსახად ითხოვს საქართველოს შრომის კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას, მაშინ როდესაც ქვეყანა ჯერჯერობით არ არის მზად სწრაფად დაუახლოვოს თავისი შრომის სტანდარტი ევროკავშირისას. მსგავსი

ფორმულირება არასწორია, ვინაიდან ევროკომისიის მოთხოვნა იყო, და კვლავაც რჩება საქართველოს შრომის კანონმდებლობის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ფუნდამენტურ კონვენციებთან შესაბამისობაში მოყვანა და არა მაინცდამაინც ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება.

ევროპული, 500 მილიონიანი ბაზრის გახსნა, თავისთავად ცხადია ძალიან დიდი სტიმულის მიმცემი იქნება საქართველოს ეკონომიკისათვის, იმ ინვესტიციებისთვის, რომელიც საქართველოში შემოვა.

სწორედ ამ პირობების შესაქმენლად კი წარმოების პროცესისთვის აუცილებელია, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

საექსპორტო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებით ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში. ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკვე რამდენიმე შეთანხმებაა ხელმოწერილი. საქართველოს მიენიჭა ასევე შეღავათიანი რეჟიმი, GSP პლიუსით (GSP +) ანუ პრეფერენციათა ზოგადი რეჟიმით სარგებლობის უფლება, რაც საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე შეღავათიანი პირობებით გასვლის უფლებას ანიჭებს. (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი ვაჭრობის საკითხებში ურთიერთობა რეგულირდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებით პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაშია 1999 წლიდან).

„GSP +“-ის პირობები ითვალისწინებს შსო-ის ფუნდამენტური კონვენციების რატიფიკაციასა და ეფექტურ იმპლემენტაციას. ეს კონვენციები მოიცავს შემდეგ სფეროებს: გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლე-


ბა, იძულებითი და ბავშვთა შრომის გაუქმება და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვ. თუმცა „GSP +“-ით სარგებლობის დასაწყისიდანვე საქართველოს პრობლემები გაუჩნდა შსო-ის კონვენციებთან მიმართებაში. კერძოდ:

- შსო-ის 98-ე კონვენციასთან მიმართებაში, რომ შრომის კოდექსი არ უზრუნველყოფს ანტი-პროფკავშირული დისკრიმინაციისგან ადეკვატურ დაცულობას და არ უწყობს ხელს კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებას.
- 100-ე კონვენციასთან — „დასაქმებული ქალისა და მამაკაცის თანაბარი ანაზღაურება“ — დაკავშირებით, არის შეხედულება, რომ შრომის კოდექსი არ შეიცავს ნორმას, რომელიც აწესებს თანაბარი სამუშაოსათვის ქალისა და მამაკაცის თანაბარი ანაზღაურების ვალდებულებას.
- 111-ე კონვენციასთან დაკავშირებით რეკომენდაცია ეხება იმ ფაქტს, რომ შრომის კოდექსი უფრო ნათლად უნდა განმარტავდეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას და დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა მოიცავდეს სამუშაოზე აყვანისა და შერჩევის პროცესსაც. ასევე არსებობს გარკვეული ეჭვები 138-ე კონვენციის „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხთან მიმართებაში.

ამდენად, შრომის კოდექსის ცალკეული მუხლები სერიოზულად ზღუდავს დასაქმებულთა უფლებებს, რაც ევროკომისიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. ევროკომისიის შეფასება საკმაოდ მკაცრი იყო, რასაც ევროკომისიის 2011 წლის შუალედურ ანგარიშში მოყვანილი ეს ფრაზაც ადატურებს: „რაც შეეხება შრომის კანონმდებლობას, რაიმე პროგრესი ამ მიმართულებით არ შეინიშნება. 2006 წელს პროფკავშირებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე მიღებული შრომის კოდექსი არ არის შესაბამისობაში შსო-ის სტანდარტებთან. კერძოდ ის ვერ უზრუნველყოფს კონვენციების მოთხოვნების შესრულებას გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების რეალიზაციის კუთხით. უფრო მეტიც, შრომის კოდექსი წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სტანდარტებთან და ევროპის სოციალურ ქარტიასთან, რომლის რატიფიცირება ქვეყანამ 2005 წელს მოახდინა“.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და მისი ახალი განზომილების — აღმოსავლეთ პარტნიორობის — მიზნების შესაბამისად ევროკავშირი მზადაა ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტში შექმნას ძალზე მნიშვნელოვანი „ღრმა და ყოფლისმომცველი“ ვაჭრობის სივრცე საქართველოსთან მას შემდეგ, რაც ამისთვის აუცილებელი პირობები იქნება დაკმაყოფილებული.

პაატა ბელთაძე – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი (1998 წ. დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. 2006 წ. – ლონდონის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის (ევროპული სამართლის განხრით) მაგისტრატურა. 2008-2010 წწ-ში პაატა ბელთაძე იყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი, შემდეგ – მინისტრის მოადგილე. 2010 წლის იანვრიდან დღემდე მუშაობს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების აპარატის უფროსად, პასუხსიმგებელი ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზეც. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პარლამენტში წამყვან სპეციალისტად, დიდ ბრიტანეთში ქართული სათვისტომოს მთავარ იურიდიულ მრჩეველად, უფლებადამცველად არასამთავრობო ორგანიზაციებში. ამჟამად პ. ბელთაძის პროფესიული საქმიანობის უმთავრესი მიმართულებაა საერთაშორისო და ეროვნული შრომის სამართალი, ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხები. არის 30-მდე პუბლიცისტური თუ აკადემიური სტატიის ავტორი.



ცხადია, ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის, მაგრამ საქართველოს მომზადება ესაჭიროება ასეთი ლიბერალიზებული სავაჭრო ურთიერთობებისთვის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ საბაჟო ტარიფების და ქვოტების გარეშე ვაჭრობას არ ნიშნავს. ტარიფების გარდა, არსებობს ე.წ. არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში, რაც საქართველო-ევროკავშირის შორის ვაჭრობაში თამაშის საერთო წესებით ხელმძღვანელობისთვის არის საჭირო. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქცენტს სწორედ ამ ბარიერების მოხსნაზე აკეთებს.

ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ასევე გულისხმობს პარტნიორი ქვეყნების მთელი რიგი სფეროების ეკონომიკური რეგულირების სფეროების ევროპულთან დაახლოებას, რაც საბოლოო ჯამში თავისუფალი სავაჭრო სივრცის გაჩენის შესაძლებლობას იძლევა, როგორც ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ასევე თავად პარტნიორ ქვეყნებს შორის.

თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების პროცესში ევროკავშირის სტრუქტურების მაღალი თანამდებობის პირების მიერ არაერთხელ, საკმაოდ ცალსახად იქნა გაცხადებული, რომ უნდა გაუმჯობესდეს შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობა, კერძოდ, შრომითი კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N87 გაერთიანებისა და ორგანიზების თავისუფლების და N98 ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ ძირითად კონვენციებთან, ამასთან უნდა გაითვალისწინონ შსო-ს მიერ საქართველოსთვის 2011 წელს განეული რეკომენდაციები, უნდა შეიქმნას შრომითი დავების მოგვარების სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმები, რათა თავიდან იქნას აცილებული ადგილობრივი შრომითი კონფლიქტების ესკალაცია. აღასანიშნავია, ის რომ ამჟამად ქვეყანაში არ მოქმედებს შრომის ინსპექცია.

თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ყოველთვის სტიმულის მიმცემია ბიზნეს კომპანიებისთვის. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებიც (ვმო) სწორედ არასატარიფო ბარიერების მოხსნას ემსახურება. ამდენად, მსო-ის მოთხოვნების შესრულება ვაჭრობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების დაახლოებით ერთი მესამედის დაკმაყოფილებას ნიშნავს.

ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება, მოკლევადიან პერსპექტივაში დანახარჯებთანაა დაკავშირებული. რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას იქონიებს ეს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. თუმცა, ანალოგიური ხასიათის სხვა ქვეყნებთან დადებული შეთანხმების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რო-

გორც წესი, ის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების ფაქტორად გვევლინება.

ასევე ნიშანდობლივია, რომ DCFTA-ის პირობებში წარმოდგენილი შსო-ის მიერ აღიარებული ღირსეული შრომისა და სხვა სოციალური საკითხები ეხმიანება პრაქტიკულად თითქმის ყველა სახის სოციალურ ვალდებულებებს (სამუშაო ადგილების შექმნა, შრომის უფლებების დაცვა, სოციალური დაცვა, სოციალური დიალოგი, გენდერული თანასწორობა).

ქვეყანაში მთელი რიგი პრობლემები დღემდე კვლავაც მოუგვარებელი რჩება. ეს განსაკუთრებით მწვავედ ეხება შრომის კოდექსის რამდენიმე დებულებას, იგი არ არის შესაბამისობაში შსო-ს 87-ე კონვენციასთან. ამ კონვენციასთან მიმართებაში რეკომენდაციები ეხება: პროფკავშირის შექმნისთვის მინიმალური წევრობის მოთხოვნის შემცირებას, დავების მონესრიგებისთვის ფუნქციური პროცედურების დადგენას, გაფიცვის უფლებაზე დანესებული შეზღუდვების შემსუბუქებასა და ანტი-პროფკავშირული დათხოვნებისგან დაცულობის მექანიზმების გაუმჯობესებას.

დღევანდელი ლიბერალური შრომის კოდექსი აწესებს საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს გაფიცვასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს გაერთიანების თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას, რომ არაფერი ვთქვათ გავრცელებულ მავნე პრაქტიკაზე, როცა კანონიერ გაფიცვას პოლიციის ძალით შლიან და მონანილებს აპატიმრებენ.

ეკონომიკური სიტუაცია და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სურვილი სოციალურ მიმართულებებს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების ჩრდილში აქცევს. სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ცალკეული ელემენტების საზოგადოებრივი შეფასება საქართველოსა და საშუალო ევროპულ ქვეყანას შორის შესაძლოა განსხვავდებოდეს.

„GSP +“ მიმდინარე სტატუსის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ DCFTA-ში შეტანილ იქნას დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური და შრომითი უფლებების კუთხით უკვე მიღწეული პროგრესის შენარჩუნებას და შესაძლოა, შემდგომ განვითარებასაც.

საკვანძო შეკითხვა, რომელიც DCFTA-ის ეხება ისაა, იქნება თუ არა ის უფრო ეფექტური სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უფლებების დასაცავად, ვიდრე GSP+. აღსანიშნავია ისიც, რომ პროცედურულად DCFTA-ის შეჩერება ან ჩამორთმევა უფრო რთულია, ვიდრე „GSP+“-ის. ასევე ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ DCFTA-ის იმპლემენტაცია გარკვეულ დროს საჭიროებს და ამ ხნის განმავლობაში პროგრესის მიღწევა უფრო შესაძლებელია. ასევე ჩანს, რომ „GSP+“-ის ჩამორთმევის შესაძლებლობა აქამდე გავლენას არ ახდენდა ქვეყანაში დასაქმებულთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე.

პროფკავშირები არსებული სატარიფო შე-

ლავათების ჩამორთმევის მომხრე არ არის და მთავრობასთან თანამშრომლობს ევროკომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა ასევე მნიშვნელოვანი იქნება ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულება შრომითი უფლებების მიმართ, რამაც შესაძლოა შექმნას გარკვეული წნეხი მთავრობაზე და აიძულოს მას შრომის კოდექსის მოდიფიცირება, ასევე მოქმედი ნორმების იმპლემენტაცია.

საქართველო-ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების "მდგრადი განვითარების" თავში უნდა იყოს გათვალისწინებული დებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას და შრომითი ურთიერთობების განვითარებას:

1. საქართველოს მთავრობის მიერ ეფექტურად და პრაქტიკულად უნდა იყოს იმპლემენტირებული შსო-ს ფუნდამენტური კონვენციები შიდა კანონმდებლობაში, ისე რომ შეუზღუდავად იყოს რეალიზებული ამ კონვენციებით გარანტირებული უფლებები შსო-ს ექსპერტთა კომიტეტის, შსო-ს ნორმებისა და სტანდარტების კომიტეტის, ევროპის სოციალური ქარტიის სამთავრობო კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.
2. საქართველოს მიერ ხელმოწერილი შსო-ს სხვა კონვენციების იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში (დასაქმების სახელმწიფო სააგენტოების შესახებ; დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ; "სოციალური პოლიტიკისა და მიზნების შესახებ", სულ 16 კონვენცია).
3. საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს რეალური და არადისკრიმინაციული სოციალური დიალოგის განვითარებას, რათა უზრუნველყოს გართიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლებების რეალიზაცია. როგორც ეს ჩამოყალიბებულია ევროპარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუციაში. "შეთანხმებაში ჩაიდოს ვალდებულებები, რომ საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, განსაკუთრებით 87-ე და 98-ე კონვენციებთან, ევროპის სოციალურ ქარტიასთან შრომის კანონმდებლობის სრული შესაბამისობა, ისევე როგორც ნამდვილი, სტრუქტურული და არადისკრიმინაციული სოციალური დიალოგის განვითარება პრაქტიკაში."
4. აღმოფხვრას პროფკავშირული დისკრიმინაციის ფაქტები, რომლებიც ასახულია პროფკავშირების მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გაერთიანების თავისუფლების კომიტეტში გაგზავნილ საჩივრებში.
5. აუცილებელია შეთანხმებაში ჩადებული იყოს მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი. სოციალური და შრომითი უფლებების კუთხით არსებული პრობლემების შეფასება უნდა მოხდეს დამოუკიდებელი და კვალიფიციური ექსპერტების მიერ.
6. შსო-ის ფუნდამენტური კონვენციების იმპლემენტაციასთან ერთად, შეთანხმებაში ჩადებული უნდა იყოს შსო-ის ღირსეული შრომის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული კონვენციების რატიფიცირების საკითხი. კერძოდ, (122-ე კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ; 81 და 129 კონვენციები შრომითი ინსპექციის შესახებ; 144-ე კონვენცია სამხსრივი კონსულტაციების შესახებ; 155-ე კონვენცია შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შესახებ; 103-ე დედობის დაცვის კონვენცია)
7. საქართველოს მთავრობამ უნდა აუზრუნველყოს სამუშაო ადგილებზე შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების არსებობა შსო-ის მოთხოვნების შესაბამისად, ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის გზით, რათა სათანადოდ დაიცვას ქვეყნის ადამიანური კაპიტალი.
8. საქართველოს მთავრობამ პატივი უნდა სცეს ზოგადად ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედ კონვენციებს, რაც მდგრადი განვითარების სოციალური განზომილებისთვის ფრიად რელევანტურია.

ვფიქრობ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად და დროულად შეძლებს საქართველოს მთავრობა საქართველოს შრომით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას, ქვეყანაში რეალური, არადისკრიმინაციული სოციალური დიალოგის ხელშეწყობას და მსგავსი ხასიათის ნაბიჯებს გადადგამს სოციალურ პარტნიორობთან, მათ შორის, პროფკავშირებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კონსულტაციის გზით, რის აუცილებლობაზეც ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები უფრო ინტენსიურად საუბრობენ.

მ ი ს ი ა

სამი წლის წინ ევროკავშირმა და აღმოსავლეთ ევროპის ექვსმა სახელმწიფომ საფუძველი ჩაუყარეს გრძელვადიან რეგიონულ თანამშრომლობას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ევროპული ინტეგრაციის პროცესებში სიღრმისეულად ჩართვას ემსახურება. საქართველო მთლიანად იზიარებს ამ თანამშრომლობის – აღმოსავლეთის პარტნიორობის – ძირითად მიზნებს. ორმხრივი თანამშრომლობის განზომილება ეფუძნება თითოეულ პარტნიორ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის არსებულ ინსტრუმენტებსა და პროგრამებს. მრავალმხრივი ფორმატი კი, როგორც ძირითადი სამუშაო ინსტრუმენტი, ითვალისწინებს ე.წ. თემატური პლატფორმების ორგანიზაციულ ფორმას, ყველა პარტნიორი ქვეყნის მთავრობებისა და ევროკომისიის მონაწილეობით. საქართველოს ოფიციალურმა სტრუქტურებმა ჩამოაყალიბეს შესაბამისი სამუშაო ჯგუფები შესაბამის მრავალმხრივ პლატფორმებში მონაწილეობისთვის. პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირში აღმოსავლეთის პარტნიორობის მიზნების ხელშეწყობისთვის ასევე დაარსდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი. ამას მალევე მოჰყვა ეროვნული პლატფორმების დაარსება თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში.

არც საქართველოში და არც სხვა რომელიმე პარტნიორ ქვეყანაში ჯერჯერობით არ ჩატარებულა აღმოსავლეთის პარტნიორობის მიზნებთან დაკავშირებული პროგრესის ფართო შეფასება, მაგრამ ნათელია, რომ თანამშრომლობაში ჩართვის სიღრმე, მოცულობა და ხარისხი არ არის საკმარისად მაღალი.

დაბალია ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და მისი გათვითცნობიერების დონე. აღმოსავლეთის პარტნიორობა ჯერ არ გამხდარა ფართო საზოგადოების ინტერესის საგანი და ასევე დაბალია მედია-საშუალებების მიერ მისი გაშუქების დონე. პოლიტიკური პარტიებიც იშვიათად მოიხსენიებენ თავიანთ პროგრამებში აღმოსავლეთის პარტნიორობას. შედეგად, არ არსებობს ამ მიმართულებით ქვეყნის პროგრესის შეფასების ან გადამწყვეტილებებში ჩართულობის მიმართ ინტერესი, მთავრობების რეალური ძალისხმევა კი შორდება ქვეყნის პოლიტიკურ ვალდებულებებს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი: "აღმოსავლეთის პარტნიორობის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში" ეხმაურება აღნიშნულ პრობლემებს შემდეგი საქმიანობით:

- ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოების სფეროების კვლევა და ანალიზი;
- პუბლიკაციები და მთავრობისა და ფართო საზოგადოებისთვის იდეებისა და ანალიზის შედეგების კომუნიკაცია;
- სწავლება-სემინარები და ინფორმირებულობის ამაღლება.

პროექტს ახორციელებს:

- საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
- ევროპული კვლევები საქართველოს ინვაციური განვითარებისათვის
- ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
- საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების კონფედერაცია

პროექტის გუნდი

პროექტის დირექტორი: კახა გოგოლაშვილი
 პროექტის კოორდინატორი: ეკატერინე მესხრიკაძე
 მრჩეველთა საბჭო: ოლეგ შატბერაშვილი
 ნინო ელიზბარაშვილი
 დიმიტრი ჯაფარიძე
 პაატა ბელთაძე

კონტაქტი

GFSIS
 3ა შიომრტიანის ქუჩა
 თბილისი, 0108, საქართველო
 ტელ: (995 32) 2473555
 ფაქსი: (995 32) 2985265
www.EaP.gfsis.org / em@gfsis.org